Hydro Invest GA LLC

№ 05/04-01 05.04.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარეებზე ზესხო და ყორულდაში გეგმავს დერივაციული ტიპის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის - „ზესხო 1 ჰესი“-ს (დადგმული სიმძლავრით 20,3 მგვტ) მშენებლობას და ექსპლუატაციას.

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ: პუნქტი 22 – „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია“. ცხენისწყალი 1 ჰესის დადგმული სიმძლავრიდან გამომდინარე პროექტი სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე პირდაპირ ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ „ზესხო 1 ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ელექტრონული კოორდინატები;

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-9 მუხლის შესაბამისად გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

ზურაბ გელენიძე

შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8595
08 04 2022
02

საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, თამარაშვილის ქუჩა N 6 (ნაკვეთი 42/169), სართული 1, ბინა 6, კორპუსი N1